

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი აცხადებს ჟურნალისტთა შესარჩევ კონკურსს

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი აცხადებს ჟურნალისტთა შესარჩევ კონკურსს.

კონკურსი ცხადდება პროექტის „ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერება ბავშვთა უფლებების დაცვისათვის საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ევროკავშირისა და ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ დაფინანსებით.

კონკურსის მიზანია: ანალიტიკური სტატიების ან სიღრმისეული რეპორტაჟების მომზადება სკოლის მიტოვების, ნაადრევი ქორწინებისა და ბავშვთა შრომის საკითხებზე.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ფიზიკურ პირებს, რომელთაც აქვთ საგანმანათლებლო ან ბავშვთა უფლებების საკითხებზე წერის გამოცდილება.

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი აფინანსებს 24 სტატიას, მათ შორის 12 სტატიას ქვემო ქართლში, შიდა ქართლსა და სამცხე ჯავახეთში მოქმედი ჟურნალისტებისთვის.

პროექტის ფარგლებში ჟურნალისტები მოამზადებენ ანალიტიკურ სტატიებსა და სიღრმისეულ რეპორტაჟებს სკოლის მიტოვების, ადრეული ქორწინებისა და ბავშვთა შრომის შესახებ.

ჟურნალისტის ანაზღაურება:

ჰონორარი- თითოეულ სტატიაში 130 ევრო

კონკურსში მონაწილეობა:

კონკურსში მონაწილეობისთვის ვიწვევთ ცენტრალურ და რეგიონულ მედიაში დასაქმებულ ჟურნალისტებს. დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

1. სამოტივაციო წერილი;
2. ავტობიოგრაფია;
3. მედიიდან ცნობა, რომ მომზადებული მასალა გამოქვეყნდება;
4. ამავე თემებზე მომზადებული ანალიტიკური სტატიების ან სიღრმისეული რეპორტაჟის ასლები;
5. ორი რეკომენდატორის საკონტაქტო ინფორმაცია.

შერჩევასას უპირატესობა მიენიჭება ჟურნალისტის გამოცდილებას.

კონკურსში მონაწილეობისთვის ვიწვევთ ჟურნალისტებს, რომლებიც არიან ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ხელმძღვრეები და აღიარებენ ეთიკური ჟურნალისტიკის პრინციპებს.

კონსულტაცია კონკურსის შესახებ ჩატარდება სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის ოფისში, 28 მარტს, 16:00-ზე

კონკურსის ფარგლებში ორგანიზაციაში შემოსული ყველა განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის ოფისში (ჭოველიძისქ. #10) **2016 წლის 11 აპრილის** ჩათვლითყოველდღე 18:00 საათამდე ან ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: civicdevelopmentinstitute2005@gmail.com

გთხოვთ, სათაურის ველში, მიუთითოთ: ჟურნალისტთა შესარჩევი კონკურსი.

საკონტაქტო პირი: თამარ ჩხაიძე, ელ.ფოსტა: civicdevelopmentinstitute2005@gmail.com